ურთერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს ქუთაისის უნივერსიტეტსა
და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

ქ. ქუთაისი, 8 ივლისი 2021 წელი

ერთი მხრივ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შპს ქუთაისის უნივერსიტეტი (ს/კ 212677094, შემდგომში - „ქუთაისის უნივერსიტეტი") წარმოდგენილი რექტორის გოჩა თუთბერიძის სახით და მეორეს მხრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ს/კ 424066977, შემდგომში - „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი") წარმოდგენილი რექტორის მაკა ბერიძის სახით, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ სასწავლო პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას ახალგაზრდა თაობების აღზრდისათვის უმაღლესი განათლების სრულყოფის სფეროში.
კეთილი ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე გამოვთქვამთ მზადყოფნას ამ მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი I. მემორანდუმის საგანი და მიზანი

1.1. მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. მხარეები შეეცდებიან შექმნან სათანადო პირობები ამ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

1.2. ურთიერთთანამშრომლობის მხარდაჭერის/ხელშეწყობის მიზნით მხარეებს შორის შესაძლოა დამატებით გაფორმდეს ხელშეკრულებები, რომლითაც განისაზღვრება კონკრეტული/დამატებითი მხარდაჭერის/ხელშეწყობის პირობები;

1.3. მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიზანია:

ა)ეკონომიკის სადოქტორო და მხარეთა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/ცვლილება/განახლებისას განხილვაში მონაწილეობის მიღება და შემდგომი სრულყოფა;

ბ) ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ეკონომიკის სადოქტორო და სხვა საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება;

გ) უნივერსიტეტების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის დასაქმების ხელშეწყობა;

დ) ქუთაისისი უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივი პროექტების, მათ შორის კვლევითი პროექტების განხორციელება.

მუხლი II. მხარეთა უფლება–მოვალეობები

2.1. „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი" იღებს ვალდებულებას:

ა) ითანამშრომლოს „ქუთაისის უნივერსიტეტთან“ ეკონომიკის სადოქტორო და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ცვლილება/განახლების პროცესში.
ბ) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და მხარეთა მიერ დამატებით შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებით პერიოდულად მიაწოდოს ქუთაისის უნივერსიტეტს ინფორმაცია - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ვაკანსი(ებ)ის (სამუშაო ადგილის) შესახებ.
გ) უზრუნველყოს თავის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ხელმისაწვდომი გზებით (უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელებისა და სხვ. მეშვეობით) ქუთაისის უნივერსიტეტში არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
დ) ქუთაისის უნივერსიტეტთან ერთად განახორციელოს ერთობლივი ღონისძიებები, კონფერენციები, ტრენინგები, კვლევითი პროექტები.
2.2.“ქუთაისის უნივერსიტეტი“ იღებს ვალდებულებას:
ა) ითანამშრომლოს „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“ ეკონომიკის სადოქტორო და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/ცვლილება/განახლების პროცესში.
ბ) ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან/და მხარეთა მიერ დამატებით შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებით პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქუთაისის უნივერსიტეტში არსებული ვაკანსი(ებ)ის (სამუშაო ადგილის) შესახებ.
გ) უზრუნველყოს თავის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ხელმისაწვდომი გზებით (უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელებისა და სხვ. მეშვეობით) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
დ) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად განახორციელოს ერთობლივი ღონისძიებები, კონფერენციები, ტრენინგები, კვლევითი პროექტები.

მუხლი III. ერთობლივი საქმიანობის კოორდინაცია

3.1. მემორანდუმში მონაწილე თითოეული მხარის მიერ გამოყოფილი იქნება კონკრეტული პიროვნება ერთობლივი საქმიანობის საკოორდინაციოდ. მხარეები თანხმდებიან პერიოდული შეხვედრების აუცილებლობაზე ზემოაღნიშნული ერთობლივი ინიციატივების ხელშეწყობისთვის;
3.2. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობა დაიგეგმება და განხორციელდება თითოეული მონაწილე მხარის ინტერესებისა და ადამიანური, მატერიალურ–ტექნიკური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით;
3.3. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ყველა მონაწილე მხარის ინტერესებისა და ფუნქციების გათვალისწინებით;
3.4. ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში მესამე პირთან ურთიერთობისას საჭიროა ამის შესახებ პარტნიორების საქმის კურსში ჩაყენება და ყველა საკითხზე მათი წერილობითი თანხმობა;
3.5. ყოველი კონკრეტული ერთობლივი პროექტისთვის სპეციფიური შინაარსი და პირობები შემუშავდება ორივე მხარის მონაწილეობით ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი IV. მემორანდუმის მოქმედების ვადა:

4.1. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 7 წლის ვადით;

4.2. მემორანდუმი შესაძლოა შეწყდეს ერთი–ერთი მხარის ინიციატივით ვადაზე ადრე. თუ მეორე მხარეს წერილობით შეატყობინებს აღნიშნულის შესახებ ერთი თვით ადრე. თუ მემორანდუმის მოქმედების ვადის გასლვამდე ერთი თვით ადრე არცერთი მხარე არ გამოხატავს მემორანდუმის შეწყვეტის სურვილს, იგი გაგრძელდება იმავე ვადითა და პირობებით;

4.3. წინამდებარე მემორანდუმის ძალაში შესვლისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის მანამდე არსებული იგივე საგნის მქონე სხვა ნებისმიერი ხელშეკრულება/შეთანხმება/მემორანდუმი;

4.4. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ წინამდებარე მემორანდუმი გამოხატავს, მხარეთა სურვილს ითანამშრომლონ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ სფეროში, შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტი მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულო პირობებს ან/და რაიმე სახის ინვესტიციის განხორციელებას (მათ შორის ფინანსურს) არ ითვალისწინებს. ამასთან, მხარეებითანხმდებიან, რომ ყოველ ცალკეულ პროექტთან დაკავშირებით შესაძლოა გაფორმდეს კონკრეტული ხელშეკრულება;

4.5. მემორანდუმის ყველა ცვლილება და დამატება უნდა შესრულდეს მხარეების მიერ წერილობითი ფორმით და მათი ხელმოწერით;

მუხლი V. კონფიდენციალური პირობები

5.1. მხარეთა მიერ ურთიერთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე მემორანდუმის პირობების გაცნობა მესამე პირისათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

5.2. მხარეთა ეს მოვალეობა ძალაშია მემორანდუმის შეწყვეტის შემდგომაც.

მუხლი VI. დასკვნითი დებულებები:

6.1. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად – თითოეული ყოველი მხარისთვის;

6.2. ამ მემორანდუმის ყველა დანართი (ასეთის არსებობისას) შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

6.3. მხარეთ შორის წარმოქმნილი სადავო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. საწინააღმდეგო შემთხვევაში ყველა დავა ექვემდებარება სასამართლო განხილვას;

მუხლი VII. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„ქუთაისის უნივერსიტეტი“

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“
ს/კ 212677094
მის: ქუთაისი, წერეთლის ქ. № 13
რექტორი: გოჩა თუთბერიძე

ხელმოწერა

„სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს/კ 424066977
მის.: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113
რექტორი: მაკა ბერიძე

ხელმოწერა